

# Go & See

№ 43 საუთველ-კირბო სალიტერატურო და სამხატვრო განეთი.

Nº 43

26 ლვის მუზეუმი

ՑԱՑՈՒՅԵԱՆ ԿՐՅԱԼ ՀՅՈՒԱԹԵՈՒ

1886 ၇၂၉၆၁.

ତ୍ୟାଶିଳ ହୃଦୟରେଣୁ „ତମାତମାନୁ“-କୁ

ერთის წლით..... 5 მნ. ხასკევარ წლით.... 3 მ  
სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიღება:

გამოგზავნილი სტატიები, კორრესპონდენციები, ღვეულები და  
სხვა წერილი წერილები. თუ რედაქციაშ საჭიროდ დანიანა  
შესტორდებან.

გამოგზავნილი ხელო-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ  
ერთს თვეს. სტატიის უკან გვიჩვნიას რედაქცია ან კის-  
რედაქცია.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ წერილების აგტორთ  
სტატიები გარჩევო კუნენ დაწერილი.

ყოველ წერილში აუცილებლად მოქსენებული უნდა იყოს ავტო-  
რის სახელი, გგარი და საცხოვრიშებელი ადგილი.

გარეული მცხოვრებთაობის აღრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галлерея быв. Арцруни № 110.

ଶାନ୍ତିପୁଣ୍ଡି ଗମାତିଳି

დღეს ქართული დრო. დასისაგან წარმოდგენ  
ნილი ისწყბა:

工

ب ، ا ، ب ، ا ، ب ، ا

კომელია 4 მოქმედ. და 6 სურათიდ გაბრ. სუნდუ-  
კიან ცისა.

მონაწილეობის მიღებები: ქ-ბ-ნი საფურ-აბაშიძესა, ბ-  
გაბ-ცაგარლიძესა, მ. , დეონიძისა ბ-ნი აბაშიძემ, აწყუ-  
რელი, მესხივე, მაქსიმიძე და სხვნი.

დასაწყისი სწორებთ 7<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზე.

## ପୂର୍ବତ୍ୟାଳୀ ତ୍ୟାଗି

წარსულს კეირას ქართულ ღრამ. სახლვადოების  
დასისაგან წარმოდგენილი იყო 3 მოქმედებისანი კო-

ივ. ცაგარელის საპატიუბო - გებო როლებისათვის  
არც ღონისძიება არც გამოცდილება მოსიღვება. აკეტიქა

როლში ვ. აბაშიძე ჩვეულებრივად საუცხოვო  
რამ იყო, მ. საფარ. — აბაშიძისამ თალალას  
უფერული როლი ჩინებულად წარმოადგინა და ერთს  
ადგიოს თავის ამხანაგს ნ. გაბ-ცაგარლისას დიდი  
სამასპერი გაუშია, როცა ამ უკანასკნელმა «ლასნა» «თა-  
ლალად» მონათლა... გაბ-ცაგარლისა მაქთალს როლს  
კარგათ თამაშობდა, მაგრამ როლი რომ უკეთ სცოდ-  
ნოდა და წამ-და-უწეუმ „, რა ჭევან, რა ჭევან“ რომ  
არ ეხმარა, უფრო დიდ შთაბეჭდილობას იქონიებდა  
მაყურებლებზე. ერთი შენიშვნა კივე: საღ გაუგონა  
გაბუნ-ცაგარლისას, რომ სცენაზე აღმიანას თვალში  
აფურთხებდნენ?.. ასეთი „რეალიზმი“ ცოტა არ იცოს  
სამარცვინოა... აქ უადგილო არ იქნება ერთი გარე-  
მოება აღვერობით: კნ. ბარბარე ჯორჯაძეს კომელი-  
აში გამოყვანილი მაქანკალი მაქთალა ძრიელ წაჲვანს  
ავ. ცაგარლის სანუმას, ასე რომ ზოგს დებილი დე-  
ები ჰორნია... ალაგ-ალაგ რომ დავაკირდეთ, ფრანზე-  
ბიც, სიტყვებიც და ტრადებიც, კი უპერაა ერთმანეთს,  
მაგალითად ის აღილი, სადაც მაქთალა ამბობს: რ-მ-  
დენი გონჯი გამისალებიათ და სხვა.... თუ მექსიერება  
არ დალატობს „, რას ვეძებდი და რა ვპოვე“ უფრო აღ-  
რე არის დაწერილი, ვიდრე „, ხანუმა“..... ვ. მელი-  
ქოვისას თივისი როლი რომ უფრო გამორკევით გამო-  
ეთქა უკეთესი და სასიამოვნო იქნებოდა. რაც შეეხდა  
იმის, რასაც „, ივერიის“ ჩეცენზენტრი ამბობს, რატომ  
გონჯად და ბრუციანად არ ჰქონდა სახე გაძე-  
თებულიო. ეს ჩენის ფიქრით შემცდარი აზრია. სცენა  
ემტერება ყოველ გვარ გარენულ სიგონჯეს, სიმანი-  
ჯეს და მართალიც არის. არამც თუ სცენაზე, არა-  
მედ კერძო ცხოვრებაშიაც კი გვეზარება ბრმების და და-  
სახიჩებულების ნახვა. მაქსიმიძე მოურავის როლში  
და აწყურელი გლეხი სისიას როლში კარგები იცვნენ. ჩენ  
ბ-ნი აწყურელი პირველად ვნახეთ გლეხის რო-  
ლში და გვეშინოდა იმის მაგიერად, მაგრამ შიში უსა-  
ფუძელო გამოდგა.

ვოდევილი „, სუატი მხარე“ მეტად მხიარულად  
წარმოადგინს. დოვერტისმერტში ვ. მესხიერმა წაიკით-  
ხა ვახტანგ ორბელიანის ლექსი «გელათი» და პირველ  
შემთხვევისათვის კარგად იქო. სასურველი იქნება, რომ  
ვ. მესხიერმა მთამართის რამდენიმე ლექსები სცენისა-  
თვის, მით უფრო რომ ჩენ ჯერ არც ერთი ხერი-  
ანი და არც უხეირო ლექსების მკითხველიარა გვყავს;  
მესხიერმა კი, როგორც წარსულს კვირას შევატევთ,  
ლექსების კითხვა აღვილად შეუძლიან, რადგვან საუც-  
ხოვთ მელოდიური ხმა აქვს, ნ. გაბუნ-ცაგარლის  
ს-მლერა „, ჭმუნების მახვილი“ მეტად სუსტი იყო-ამის

მიხეზი თვითონ პატივცემულ არტისტი-ქადაგი ჩენის  
უკეთ უნდა მოეხსენებოდეს.

**ბებული მარიამი**

წაოსულს ოთხშაბათს ქართ. დასმა წარმოადგი-  
ნა ოთხ მოქმედებინი დრამა „, ცოდი-მეუღლე“ ამ  
პიესაში იხატება ნამდევილი ცხოვრება, ყოველივე მი-  
სის აე-კარგიანობით, ყოველივე გასის პროცესით და  
პოეზით. უმთავრესი დედა-აპრი პიესისა იხატება ორ  
სიტუაციაში, რომელსაც ამბობს უკანასკნელ სცენაში  
გიორგი ბელკურლება: „, მე ვამტევენ მეს მშობლებს,  
მეს ადმისრდებებს!“ გარეუნილ, მელიდურობით გაბე-  
რილ, გაუზრუბებულ კნ. ბარბარე მხარაძისას ქალი  
„, ქიაფნა ნინო,“ გაფუჭებული დედის აღრწილით და  
დედის შესაფერ საზოგადოებით, ცოდად მიპყება პა-  
ტიოსანს, მაგრამ სუსტ ხასიათის მუშაქს ყმაწვილ-კაცს  
და რა თქმა უნდა პირველი მეუღლეობას ვერ უწევს  
თავის ქმარს, რომელიც „, ქრთამების აღებას არ ჰყა-  
დრულობს“ და ბელნიერად დაწებული ცოლ-ქმრო-  
ბა მეტად უცედურად თავდება.... ჩვეულებრივი ამბა-  
ვია ამ ჩენს მატერიალურ, პრაქტიკულ დროში!....

საგანგებოდ შეასრულეს თავისი როლები ვ. მე-  
ხიერმა და საფ-აბაშიძისამ. პირველმა სუსტი ულო-  
რო, პატიოსანი ყმაწვილი კაცის როლი და მეო-  
რემ, — ქარიანი, გაფუჭებული, უგულო, ბალე-  
ბის და „, ვეჩერების“, მოყვარული ქალის როლი.  
ორიენტ ეტყობობულ როლებს და კეკირვება და გო-  
ნების თვალით გაზიომეა როლების ხასიათებისა,  
თუმცა ბ. მესხიერისაგან უფრო მეტს მოველოდით მე-  
ტრად ხელოვნურად თამაშობდენ აგრეთვე ნ. გაბუნ-  
ცაგარლისა და ვ. აბაშიძე; ორივენი ჩვეულებრივის  
სიმართლით, ერთ-ზომიერობით და აღვილად არდე-  
ნდენ თავიანთ როლებს, თუმცა გაბ-ცაგალისა როლის  
ცოდნაში მეტად კოჭლობდა და ალაგ-ალაგ ხასიათის  
მართლ წარმოდგენას ძრიელ შორდებოდა. მაგრამ  
დაფინის გვირგვინი ამ საღამოს ლირსეულად და-  
იჩემა მ. ლეონიძისამ მარიამის, გიორგის დე-  
ლის როლში. — დიდის დრამატიზმით და მწვავის  
გრძნობებით შეასრულა პატივცემულმა არტის-  
ტი-ქალმა შეილთან გამოთხვების სცენა. მთე-  
ლი თეატრიაში ფერთა, ცეკვა, ღილა, ღილიც პატარაც აატირა.  
ასეთი წუთები სცენაზე იშევათ მოვლენა და ბელნი-  
რია ის არტისტი, ვინც მაყურებლებს გამოუწევს ცრე-  
მლებს თავის გრძნობიერის თამაშობით!. კ. მაქსიმი-  
ძემ თავისი როლი უფრო ცუდათ ითამაშა, ვიდრე ჩენ  
მოველოდით: საზოგადოდ პიესამ საგანგებოდ ჩაიარა და  
ღმერთმა ჰქნას, რომ ასე განაგრძიდეს ჩენინდასის საქმე.  
ხალხი კი ძალიან ნაკლებად დაესწრო პირველ წარმო-

დგენას და მეტადრე მეორე; კასაში სულ შეიდ  
თუმან ნახევარი შემოსულა; კომიტეტს კი უკველი  
წარმოდგენა არა ცხრა-ათ თუმანზე ნაკლებ უჯდე-  
ბა...  
გალიკო—ია.

### რუსული თეატრი

წარსულს კვირას რუსულ თეატრში წარმოად-  
გინეს ოპერა „გილეჭელ ტელი“ ეს ჩინებული ოპერა  
საქმაოდ კარგათ ითამაშეს. კარგი იყენებ ბ-ნი ლიუ-  
ბიმოვი და ქ-ბ-ნი ცეზარ—ინსაროვისა. ორშაბათს  
წარმოდგენილი იყო „დემონი“. ეს ოპერა საზოგა-  
დოთ კარგათარ მიღის. ხალხი სრულებით არ იყო: ერ-  
თი ათიოდე კაცი იჯდა სკამებში და დანარჩენი გა-  
ლერეიაში. «რიგოლეტში» თავი იჩინა ახალ-გაზდა არ-  
ტისტმა ბ-ნმა ლიუბიმოვმა. სიმღერას გარდა საუცხოვო  
იყო არტისტის ხელოვნური თამაშობა ღრამატოულ  
აღგილებში, მშენიერი გრიმი და გარევნობა არტის-  
ტისა დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლე-  
ბრედ.

### კვირიდან კვირამდე

× ამ თვის 13 პეტერბურლში დიდი მთავარის  
მიხეილ ნიკოლოზის-ძის დღეობაზე მასშე სასახლეში  
სხვათა შორის დასწრებიან ბევრი კავკასიის მხედართანი.  
ნალიმის დროს სხვათა შორის დაულევიათ სადღეგრძელო  
ჩვენი ქვეყნისათვის და ბოლოს ქართულ ენაზე უმ-  
ღერნიათ ჩვენი გათქმული „მრავალ ქამიერ“

× წერა-კიოხეის გამავრცელებელ საზოგიდოე-  
ბას განზრახვა აჭარა ბათუმის სკოლა სოფლად გადა-  
იტანოს, აჭარაში ან ქობულეთში.

### გაირონიდაგ.

უკ! თუ დღესმე, შევენიერია სიზმარში გართულს,  
მომჩენებია ანთებული შენგან ტრიზალი,  
ნუ უკეთ მართდა არ შემინდობ ამ სიამეს სრულს  
და კრთს წერის სიზმარს შემანანებს მაგ რისხვის აღი?

სომ სიუვარულს შენსას კპოვებ მარტი მე სუზირიცხული  
ის შესაძლოა ცხოვრებაში მსოფლი აცნებითშემარტივება  
და რას მთაწეს-მის ცელილება გაჭრება მსწრაფელიდ,  
რაღა მოჩება მე? — ლავრა, გვნესა, ცემლი გლებით...

მსწრაფელ მიმაძინე, დამიხუჭე თრთა; თვალები,  
სული დაშექრ ტებილ-სიზმებით, შემდე საცათა...  
ოკ, თუ ემსგასა მდ დამისას ესე სიზმებია,  
ბენიერებას რა-რიგს უძღვნის იგი სული მართლა!

ნუ, ნუ შეარევ მოქუფურითა წარბთა სასტიგად,  
ნუ დახაბდები ძვირფებსს თვალს ჩემის ბედისას,  
ოდესაც სიზმრად გვადნებობ შენთან ამ რიგად,  
ის ნასყიდი მაჭეს, ხარჯსა ვიხდი სატანჭელისას:

დე, მან მაჩუქრას ეგ ღიმილი მინაზებული,  
ნუ ფიჭრობ, მისთვის ქვეუნიერი არ მჭიდეს ტანჭეა,  
იმ წუთიერი ნეტარების ნაცვლად თან დამდებე  
განლევიძების ქამს საზარელი თვათ სოული დასჭა.  
სვანი.

ს. ახალ-ჭალა. 1886 წ. 21 სკოტეშენს.

### თეატრის კვირა

× ობურგეთიდან გვწერენ, რომ ამ დღეებში  
იქ ყოფილა და კონცერტი გაუმართავს ჩვენს გამო-  
ჩენილს მომღერალ-არტისტს ბ-ნს უილ. ქორიძეს თა-  
ვისი პატარა დაითა. საზოგადოება, ობურგეთისთანა  
პატარა ქალაქის შეთავებით, საკმაოდ დაწრებია და  
ძლიერ კიურთილიც დაწერილა ბ. ქორიძისა.

× იქიდამვე გვატყობინებენ, რომ ახალცახიდამ  
ბათუმამდი გაჟევთ დიუი გა-ტკეკილი, რომელზე-  
დაც ეს ორი თვე მუდამ დღე ორი ათასი სალდათი  
მუშაობსო. გზა იწყება ახალციხეს, გადიარს სურების  
ლარდოს გურიაში, მერმე მოიმართება აჭარის  
ქედზე, გადიარს სოფ. ხანას და იქიდან ბათუმ-  
ში მოვაო.

## ხალხური პიეზია

(ლექსინი, ანდაზები და გამოცანები, შეკრებ. ჭ-საგან.)

ა. გურიაში შეკრებილი.

I.

დროსა შევსწარ ასეოსა, გულს ცეცხლი გამიალება: ღინძილოდ სილიან აგებული, ბრილიანტისა და ლალებსა, ალმასით ჰქობენ გირგებსა, აქრავენ რქოს ნალებსა, ბედაურს ცექნს კი კურტანს სდგმენ, სცემენ... კინ შეიძლებასა?..

II.

უძვირფასებად მივიღო, თუმცა მიბოძო თმათა, მაღალ დაგენდო, გაყოფო, ხშირად კიბარ,, კია!.. ტანჩე სუდარი ჩამაცი, გულზე დამადევ ქვაა, და ამავე წამში მომქალი — თუ მიჭნურა გუავს სხვაა!..

III.

ზღვიდან ამოსებდო — ცვარმა დააღრჩო.

კატა რომ თევზს დაინახავს — კიალები ატეკვება.

შენისას მოგად, მისარა, სიცილი და „ოჭოჭია“, ჩემისას მოხევალთ, მეშინა, კამე, რა გქნა ლორო!

ბ. იმერეთში შეკრებილი.

მექალი მმულს ნაერტებალი, კურტუმ-ბარებალ დაგლუჭილი, კაცი სხვისას მოლენილი, თავის სახლში დაღრუჭილი.

ცოლუებისა მივიღოდი, მივითლიდი ატამისათ, აქეთობას მოკიდოდი, მოკიჭებდი ნათალსათ!

დამაზო და მშენიერო, ღვინის ფერო მმინარე, მე რომ შენებ წამოგელი თავი მომშინარე.

აფრინდი შავო მერცხალო, დაჭეუ არაგვის პირათ. ნერქო რა გაუქირდება შენი დედმამის შეილსათ!

მინდორ-მინდორ დაგდოლი, ალაგ-ბლაგ ჭოჭე იურ; მე საწეალმა რა კაცოდი, თუ ის გოგო ჭოჭე იურ!

სიღარიბე და ობლობა, ორივე გამომიედა. სჭობა სიღარიბე ობლობას, ობლობა მეტა მწელა.

(შეკრებილი ნატალია გაბ-ცაგარლისაგან.)

მანგლის რომ ააშენეს, წერო ადინეს მაღითა; სასახლები დამართეს, თეთრად დალესეს კირთა.

იქ რომ ერთი ქალი იღვ სედებს იღებდა მანგლები, თრიალეთადგან მეცხარე ემალეს ეზიდება ტრიალები;

კამბეწივით დაფში წერსარ, გვერდზედ გაცხია ტრიალები; თავი მოგადულ ქაბებს გიგავს, შენ რალათ გინდა დადაქები.

მაღლა-მაღლა დაკურინისმდი, დაკვირდი ქრისითა, მუძუ-მურდი დაგისახე, თეთრი გვერდია ბრილებითა.

ბიჭი! რას გადამეგდე, რას ამიტესე შარები. დღეზ-დამე რომ გიუბედო, მათნე არ დაგიდალები, ისე გაგახდი საქმესა, კეღარ გაიგნო კარები.

უკუმა თავი დაუდე, დაუდე და დამეშალა, გოგო, იქით გამეცალე, საღერღელი ამეშალა. შეკრებილი აექცენტი. ცაგარლისაგან.

## დრამატიული ხაზოგადობის

### გომიტეტის

რადგანაც სოფ. ქემო-ჭალაში შემდგარია პატარა დრამატიული დასი სკოლის შეგირდებისაგან და სცენის მოყვარე ალგილობრივი თავალიშვილებისაგან და რადგანაც არა ერთხელ და ათჯელ გაგეოჭართაში წარმოდგენები სკოლის დარბაზში, ამისათვის უმორჩილესად ვოხოვ დრამ. კომიტეტს რამდენიმე სუმბუქ კომედიები გვათხოვონ, რადგანაც რაც ხელში გვერდი მაგ. — « ცოლითუ გინდა ეს არის », « კატა აწონა » ტრიით მოგზაურობა », « ცოლები დავკარგეთ », « ბაიუში », « მათიკო » და « ძუში », გვითამაშნია, უნდა მოგასხენოთ რომ ალგილობრივი საზოგადოება თანაუგრძნობს ჩეენგან გამართულ წარმოდგენებს. წარმოდგენებილებან ალებუბული ფულიდგან ჩენ განვიზრახეთ ქართული წიგნების ბიბლიოთექა გაეხსნათ. სა მთმმაზდე კილეც გვაქეს ხელში წინადელ წარმოდგენებილებან ალებული. — იმედი გვაქეს, კომიტეტიც ჩასდგება ჩენ მდგომარეობაში და გამოვიგზანის დროებით შემდეგ კომედიებს და კოლევალებს: „ ცელქები, ბნელ-ოთახში, დატრიალდა ჯარა, ბუტიაობა, ან ტონოვის კომედიები, ხათაბალა, თ. ჩ. ერისთავის ხელთ ნაწერ კომედიებს და ვოლევილებს, ზოგს გადავსწერთ და ზოგს წარმოდგენის უმალვე მოგართმეთ.

ქემო-ჭალის სკოლის მასწავლებელი ნიკო ლეონიძე.

508 გ. ცე. წე. 2023

## მოთხოვანი

შესას ძიება კორსიკანელის ჩალისა.

(მოთხოვა გო დე მოპასანისა)

სავერინის ქვრივი სცხოვრებდა სოფელ ბონი-ფაჩიოში ერთად თავის შეილთან. სავერინიანთ სახლი აწალილი იყო ერთს მაღალს მთის წვეროზედ და ამაუად გადმოსცეროდა ხელ-უხლებელს ტყეს და მის იქედ ფართოდ გაშლილს ზღვას.

ქვრივი სავერინისა მარტოდ მარტო იყო, საჩრდოს აძლევდა შეილი, ახალ-გაზრდა ანტონიო და სახლს უდარაჯვებდა ერთი უშეულებელი გამხდარი ძალი, სახელად „მურა“. ახალ-გაზრდა ანტონიო და „მურა“ ხშირად დადიოდენ სანალიროდ.

ერთხელ ანტონიოს და მის ახანაგს ნიკოლოზ რავოლატის ჩხები მოუკიდათ და ამ უკანასკნელმა მტრულად, მოპარებით მოკლა ახალ-გაზრდა ანტონიო სოვერინი და ამის შემდეგ მახლობელ კუნძულზე სარდინიაში გაიქცა.

როცესაც საბრალო დედამ დაინახა თავისი შეილი, რომელიც გამელელებმა მიუტანეს, დედას ტირილი და ქვითინი არ დაუწევია, ის მხოლოთ გაშტრერებით შეცურებდა შეილის უწყალოდ გაპობილს მკერდს და თითქოს არ გრძნობდა რა უბედურობა მოსულა მის თავზე. დიდ ხანს იყო ამ მდვომარეობაში საბრალო დედა, ბოლოს აიპირო თვალები ზეცისაკნ და ალთქმა მისცა მკედარს შეილს, რომ შური ეძია. დედამ მაღლობა გადაუხადა შეილის მომტანთ, აღმო შეილის ცხედარი, შეიტანა თავის ითახში, დაკვეტა კარები და გულ-გასაგმირავი ქვითინი მორთო „მურამაც“, საშინელი ღმეული დაიწყო. საბრალო იყო ეს სურათი.

ანტონიო პირველის შეხედებით მიძინებულს ჰეგანდა, ხოლო სისხლით გასერილი და ზედ ტანზედ მიკრული ჰერანგი აშკარად ამტკიცებდენ, რომ იყი ამიერიდან არ ითვლებოდა ამ სოფლის მცხოვრებად. დედამ მოთქმა დაიწყო. ძაღლი გასწორდა შეკლების შეცურების შინ არის და სახარლად შეკლმუს ხოლო. როგორც დედის გონებაში, ეგრეთვე ძაღლის გონებაშიაც მხოლო ერთი და წაღილი ტრიალებდა—შერის ძიება.

— ო! ჩემო შეილო, ჩემო პატარავ, მე გადაუხდი შენს მკვლელს, მე დავამშეიდებ შენს სულს, შენ ფიქრი ნუ გაქვს ჩემო ბაქშო, შენ მშეიღიბიანად დაიძინე, მე კი შურის ვეძიებ, ვეძიებ, თუნდაც თვით ჭოჯოხეთმაც წინამღლებობა გამიწიოს... შენ ფიქრი ნუ გაქვს ჩემო პატარავ, ჯვერს მე, მოეიყრი შენს მკვლელზე.

მაღლმა კი ისევ სახარელს ღმეულს მიჟურულებული და ტიროლა და ამ რიგათ გათვანეს რაიონებში მთელი ლამე. მეორე დღეს დედამ და ერთგულმა ძალლმა და-მარხეს თავისი მანუგა შებელი ანტონიო და რამდენი-მე ხნის შემდეგ ანტონიოს მკვლელმა ჭველას და-ვიწყებული ჰქონდათ.

ანტონიოს შემდეგ საბრალო დედას არავინ და-რჩებია, არც შეილი, არც შორეული ნათესავი და ამიტომ შურის ძიება მარტო თვითონ უნდა ეკისრნა. თეთრი კუნძული ზღვის მეორე ნაპირზედ ყოველ-თვის თვალ წინ ელან-დებოდა საბრალო დედას. ან-ტონიოს მკვლელი სცხოვრებდა სოფელ ლონგოსარ-დოში, სადაც განსაკუთრებით იმალებოდნენ ყველა ავაზაკები და კაცის მკვლელები, მხოლოთ ამ ჯურის ხალხით იყო დასახლებული ეს სოფელი. აქვე, როგორც წინეთ ვსთქვით, იყო დამალული ნიკოლოზ რავოლატი.

მარტოდ მარტო დაობლებული ანტონიოს დე-და ყოველ ცის-მარი დღე იჯდა პატარა ფანჯარას-თან და შეცურებდა ხსენებულს სოფელს და თან შურის ძიებაზე ჰეიქრობდა. დედამ შეცვალა შეილის ცხედარს შურის ძიება და უნდა აასრულოს კადეც. ღია უნდა აასრულოს—მოსვენება დაეკრიგა, ღია-სით სულ იმაზე ჰეიქრობდა, ღამეებით არ იძინებდა, მხოლოთ ერთის ფიქრით, ერთის სურვილით გამსჭა-ლული იყო მისი გონება; არც „მურა“ იყო ღამ-შეიდებული. მის აქეთ, რაც პატრონი მოუკიდეს მუ-რა ყოველთვის შინ არის და სახარლად შეკლმუს ხოლო. როგორც დედის გონებაში, ეგრეთვე ძაღ-ლის გონებაშიაც მხოლო ერთი და წაღილი ტრია-ლებდა—შერის ძიება.

და ი ერთხელ სალამოს, სწორედ იმ დროს როდესაც „მურა“ ჩემულებრივად აუხადებდა თავის მშენებრივას, ანტონიოს დედას თავში მოუკიდე ერ-თი საშინელი აჩრი, სახარელი განზრახეა, შემძრწუნებელი. შურის-ძიება. იგი ღია დიდ ხანს ჰეიქრობდა, მთე-ლი ღამე არ დაუძინია და გათენდა თუ არა მაშინა-თვე გასწია ეკლესიში; აյ მშენებალედ ლოცულობ-და და ეკედრებოდა ღმერთს, რომ ძაღლა მიეცა მის-თვის—განზრახეს აღსრულებისათვის, შურის ძიები-სათვეს.

ამის შემდეგ დედა შინ ღაბრუნდა აიღო ერთი ძირ გამოვარღნილი ბოჭკა მაგრად ჩარჭო დედა-მი-წაში, პალოებით დამაგრა, ზედ მიაბა „მურა“ და თვითონ სახლში შეეიღა. იგი ღია დიდ ხანს დადაოდა

თავის ოთახში და რაღაც გაშემაგებით შეჰქოურებდა იმ მხარეს, საღაც იმყოფებოდა მისი შვილის მკელელა, ნიკოლოზ რაფოლატი.

მურა კი მთელს დღე და ღამეს საცოდავად ღმუ-  
ოდა. მეორე ღილით დედამ წყალი მიუტანა, მაგრამ  
საჭმელად არაფერი მიუცია, არც ძვალი გადასულდო.  
გავიდა კიდევ ერთი დღე. ძალს არაფერი ეჭამა. მე-  
სამე დღეს მურას თვალები ჩასისხლებოდა, ბალანი აბუ-  
რძგნებოდა და გაშმავებით ცდილობდა თუკის გაგ-  
ლეჯას, მაგრამ კერძო მოეხერხებინა და ეს უფრო აბრა-  
ზებდა. მოსულებულმა ქალმა კიდევ არაფერი არ ეჭამა!  
ძალით თითქმის გაგიქებული იყო. ასე გაიარა მთე-  
ლი დღე და ღამე:

მევქენს დღეს დედამ მონახა ერთი ძნა თივა, მო-  
სძებნა თავის ქმრის ძევლი ტანისამოსი-ძონძი, გატე-  
ნა თივითამართა მაღალს ჯობზე, თიხისაგან თავი გაუკე-  
თა, ასე რომ შორიდამ კაცს ემსგავსებოდა. მერე აი-  
ღო და „მურას“, წინ მიწაში. დარწყო ძალი გაშ-  
ტერებული თვალითუკურ ებდა თავის პატრიონს და ღმუ-  
ილსაც თავი დაანება, თუმცა შიმშილი საშინალ-  
სტანჯამდა. ამის შემდეგ ბებერმა ქალმა გასწია ქალა-  
ქში, აქ იუდა ერთი გრძელი, წითელი ძეხევი და ისევ  
უკან დაბრუნდა. აანთო ცეცხლი და ძეხვის მოხრავდას  
შეუდგა; „მურა“, სრულებით გავიფა ძეხვის სუნმა და  
პირ დადობრბლებული, თვალ გამხეცებული, იგი საჭა-  
რელის ხმით, ორენით და ღმუილით ახმაურებდა  
მთელს არე-მარეს.

შეწვა, თუ არა ქალმა ძეხვი წამოდგა  
და შეწვარი ძეხვი კისერზედ მაგრად მოახვია „გაკ-  
თებულს“ კაცს და როდესაც კუელაფერი მხად იყო,  
მაშინ დედამ ძალლიც აუშვა. როგორც ტყვია ისე  
მიგარდა მურა „კაცს“ და გაშმაგებით დაუწეო ყელის  
გლეჯა „კაციც“ და ძალლიც ოჩნივე ძირს წიოქ-  
ცნენ და აქ მომეტებულის გაშმაგებით და იშლით და-  
უწეო „მურამ“ ძეხვის ყლაპვა — ჩამდენიმე წუთის  
განმვლობაში „კაცის“ კისერისაგან არაუკრი იყო  
დარჩენილი.

ბეჭერი ქალი კი ჩუმად, რაღაც სიმოვნებით  
უყურებდა ამ სურათს, მერე ნელა მიეიღა ძალლთან  
და ისევ მიაბა თავის ადგილას. ძალლი სამი დღეს  
უჭმელი დარჩა, მეოთხე დღეს ხელ ახლად გამართა  
ქალმა თავისი უცნაური სადილი ძალისათვის და ძა-  
ლი უწინდებურადვე გაშმავებით დაუცა საჭმელს  
— „კაცის“ კისერს.

მთელი ექვსი თვის განმავლობაში ზრდიდა ქალი თავის მურას ზემოკვანილის საშუალობით. ძალა

როდესაც ხავრინის ქვრივი დაჩწმუნდა, რომ  
შურის ძების წამი მოახლოებულია, წაეიდა ეკლესი-  
აში, ბეჭრი იღოცა, მიიღო შენდობა მღვდლისაგან,  
ჩაცეა ვაჟ-კაცური ტანისამოსი, რომელიც სრულე-  
ბით დაფლეტილი იყო, ასე რომ ნამდვილს მათხო-  
ვარას, ღარეკას ჰგავნდა, ზედ წამოიკიდა ხურჯინი,  
გაურიგდა მენავეს მეორე ნაპირზედ გადაყვანას, გაი-  
ყოლია თავისი „მურა“ და გაემგზავრა სოფელ ლან-  
გოსარდოში. ძალს აგერ ხუთი დღე იყო რაც არაფერი  
ეჭამა; ქალს კი ხურჯინში ახლად შემწვარი ძეხვი  
ჰქონდა და ამ ძეხვის სუნი უფრო აანჩხლებდა, უფ-  
რო მაღას ულვიძებდა საცოდავ მურას. სავრინის  
ქვრივი ნელ-ნელა მიდიოდა ქუჩებში და რაღაც ში-  
შით გაიყუჩებოდა აქეთ და იქით. ვიღაც გამელელს  
ჰკითხა: ნიკოლაუ რაფოლატი სადა სრგასო... გამ-  
ვლელმა მიუთითა ერთს სამჭედლოზე. რაფოლატი  
ჩვეულებრივად მოუშაობდა და არხენად ატარე-  
ბდა დროებას. ან ტონიოს დედა შეკიდა კარში და  
დაიძხა: რევოლატი აქ ხომ არა სდგას? ნიკოლოზ  
რაფოლატი მიბრუ და, სწორედ ამ დროს დედამ მი-  
უშეა მურა და უბრძანა: —აბა, გასწი შესჭამე, შესჭა-  
მე!!

გაშმაგებული ძალით ერთის თვალის გახამხამე-  
ბამდინ ეცა კულში რაფოლატს და ორივე ძალით და  
კაცი ძირს წაიქცენ. რამდენიმე წუთის განმარტლობაში  
რაფოლატი იკლანებოდა და ცდილობდა თავი დაეხ-  
წია, ხელებს იპოტირებდა, ფეხებს ატყაბაუნებდა, მაგრამ  
ყოველივე ამაռად იყო; მურა გაშმაგებით ჰელეჯდა მის  
გულ-მკერდს, მის სახეს. როფოლატიმ სული დალია,  
მაგრამ ძალით მაინც არეშეებოდა, სულ ჰელეჯდა  
და ჰელოზოდა....

ორმა თუ სამმა კაცმა დაინახეს, ჩოგორ გამო-  
ვიდა რავოლატის სამწედლოდამ ვიღლაც მოთხოვარა და  
მას უკან გმორაჟუა შავი გმხდარი ძალი, ჩომელიც  
სისხლში გასერილი იყო.

საღამოს ანტონიოს დედა შინ დაბრუნდა.. იმ ლამეს დედას შევიდობიანად და ტკბილად ეძინა. ცოდლობი.

### სომხური თეატრი

წარსულს ორშაბათს სომხურ დრამ. დასმა წარმადგინა. ოთხ მოქმედებიანი კომედია „ეჭლანდელი სიუფარული“.

უმთავრეს როლებს ასრულებდენ ბ-ნი ჩიმიშქიანი ლენერალის როლს და მირალიანი სტროლონაჩალნიკის როლს. ორივე მოთამაშემ ხელოვნურად შეასრულეს თავიანთი როლები, მეტადრე კარგათ თამაშობდა მირალიანი, თუმცა ალაგ-ალაგ სიმართლეს შორიდებოდა, შაგალითად სცენა შეილთან. კარგათ შეასრულა თავისი როლი ქ-პ-ნ ზაბელამ, მეტად ხელოვნურად შეასრულა მასხურის პატარა როლი ბ. აბელიანმა. მა ახალ-გაზდა არტისტს ნიჭი აშკარად ეტყობა და, თუ თავის როლებში გამოუშვეს, იმედია რომ ბ-ნი აბელიანი ერთ სასარგებლო არტისტად შეიქნება სომხურ დრამატიულ დასია თვას. —

### მოსწრებული სიტყვა.

გურულს ქართლში ჩასცდა მოუხდა. ერთხელ სოფლად მიახალა შესედა, რომ ვაღაც გაცი მიწიდამ მცრუბა. გურული გაოცდა, დაკვირვება ადგილს და შენიშნება. მიწიდამ კვირდიც ამოდაოდა და სმაურობაც ისმოდა. გაფერვებულს გურულს არც მოჯერდება თუ შეიძლებოდა მიწში სახლის გაეკება და ოჯახისით ცხოვრება, და ფერ მიესადმა და მერე დაეკითხა მისა ჩაქური ტანისმოსით არა მასზე ნაცემ გაოცებულს, მიწურა სახლიდამ ამოსულს ქართლელ გლეხს:

— გამარჯვება შენი ძამია! რა ამბავია საიჭიოს? პაბუა-ჩემი რას შერება? ჩემი დედამთილი როგორია?

სერგეი მესხეს და პ. უ—ს საუბარი ქართლი სინონიმებზე. სერგეიმ სხევათ მრავალთა მაგალითთა შორის მოიყვანა სიტყვა „გვახია“ და დაკითხა: თქვენში სომ არ იციან ეს სიტყვათ.

— გაჭ, არც მე ვიცოდი აქამდე.. „გვახია“ ვითომ და რა შეიღი სიტყვა, „გოგოა“ უნდა, გოგო!

— ჩრა, პ. „გვახია“ უგეთესაა; გოგოა ხელში ტერმინით ეს ციტირითია.

— ჩემში, ითხენჭა დარჩაისელმა პ., გვახსა ქვედა, და თქვენში—თავსა!

— აგრეც არის, მაგრამ ახლა ეს მითხარი პ., სისწრაფით მიაუთლა სერგეიმ—ჩემი კვახი სფრიბიან თუ თქვენი გოგრა?

%

### «თეატრის» ფოსტა.

ახალ-სენაკი ბ—ნს... ოტიას... თქვენი ორი ლუქსი მივიღეთ, დასახელდათ გამოლებიან, ხოლო უფროდ უნდა შეგვატყუბინოთ თქვენი სახელი და გვარი, წინამდლევ შემთხვევაში ლუქსებს ვერ დაუტესდგთ. „თეატრის“ პირველ გმირდზე ავტორთა წერილების შესახებ, ვგონებთ, ვრცლად და გასაგებად არის მოხსენებული...

ბ—ნს დ. ბას.—შეიდს. თქვენი წერილია ვერ დაიხურდება.

შეარჩიბ—ნს პ. უიფანს. თქვენი ზოგიერთი წერილები ვერ დაიხურდება.... ლიდად დაგვალებთ თუ პატარა მოსხრობებს გამოგვიგზავნით.

ბ—ნს ტ.—შეიდს თქვენი ლუქსები დასახელდათ ვერ გამოდგება.

ბ—ს ჩ—გ—ს. მოომინება იქონიეთ, მოომინება!...

ბ—ნს რ. თქვენი წერილი მეტად პირადი მიმართულ ებისა და ამიტომ არ ვტესდგოთ.

ბ—ნს სოფლის მასწავლებელს. ჩემ დილათ ვწერ-გართ, რომ ჰელვეტიულის გაგრძელების ჰეტლებას, ვერ ვახერცებთ...

შეთასები. კუთათურს „პამლეტი“ მაღა გამოვა ცალკე წიგნად და მაშინ გირჩევთ შეიძლოთ, თორმე ესლა ზოგიერთი ნერები არა გვაძეს.

ჭ—ბ—ს ანსატრისა თ—დ—რ—ძისას გმადლობით გამოგზავნილისათვის, უველავერი დაბეჭდილი იქნება.

სტანცია სუფსაში, თეატ. თავ—ძისას. მივიღეთ თქვენი წერილები. დიდს მადლობას მოგახსენებთ; თავის დროშე დაბეჭდილი იქნება. იმედი გამატეს შემდეგისათვის არ დაგვიკრებთ.

რედაქტორ-გამოცემები ვ. აბაშიძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

**დედა-ქანა** ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოსახული, შეცვლილი და შეცვებული, დაიბეჭდა და ისყიდება გამოცვემელის გრიქუროვის მაღაზიაში. ამ ახალის გამოცვემის ანბანი თითქმის ხელ-ახლად არის შედგენილი და მასში ჩამატებულია საწერი დედანი, პირველი ხანში სახმარებელი. პირველი საკითხავი წიგნი შეცვებულია ახალი სავარჯიშოებით, მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით, გარდა ამისა შეცვლილია რედაქცია ზოგიერთა წინანდელი მოთხრობისა და ლექსებისა. წიგნის მეორე—საღმრთო ნაწილი იპყრობს პირველის წლის გურსას ორივე აღთქმას მოთხრობისას, სურათებს. საღმრთო მოთხრობებით თავდება წმიდა ნინოს ცხოვრების და მოქმედების მოკლე აღწერით, რომელიც სურათით არის შემკაბილი. წიგნი წინანდელს გამოცვემაზე ერთი თაბანი, იუ 32 გვერდით, დიდია, მაგრამ ფასი კი შეცვლელად ერთს დარჩენილი. გამამცვემელი გრიქუროვის მაღაზია იმყოფება გუგის ხიდის უკრთან, ბაღის პირ-და-პირ. (5—5)

„ეკუდება და სექტემბრის პირველს რიცხვებში გამოვა,—

„ქართული წერის დედანი“

გ. გაბიჩებასა.

(გამოცემა ი. მურადოვისა)

წერის დედანს შეადგინს: 1 მსხვილი გადაუბმელი ხელი სადეში ოვაის ედემნტებით; 2 დაძარარავებული საშალო მგრგვალი ხელი უბადეოდ თოსს საზში; 3, გადაბმელი სწორედ (ალმაცურად) ნერი ნესხერი ხელი სამს საზში და 4 გადასრიდი (ნაკლონები) გაერული ნუსხერი ხელი ბადეში—კერ გადაუბმელად და შემდეგ სამს საზში გადაბმით.—დედანს აქვს სულ 24 გვერდი. დედანის ფასი—30 ქაშ. კინც აცდა-ათს ანუ მეტს იუიდის ეგზემ. დაეთმობა 24 ქაშ. (3—3)

ქალს, რომელსაც აქვს შეცვლებული სტაცია შეცვლა შეცერბულდის ინსტიტუტიში, წმიდის ექატინინისა, ჭიურის იყოლიოს შაგირდები, ასე წავლოს ან გამეორებინოს უღევეს საგანზე, ანუ ენებზე: ფრანციცულსა და ნემცეურზე.—იყითხეთ: მისაიღოვის ქუჩაში, სახლი № 82, ერისთვისას.

ჩვეულებრივ წინა წლებისა ამ მომავალი მოგების 1 სეპტემბრის 5<sup>ი</sup>/<sup>ტ</sup> სახემშითო მოგებანი შეიძლება შესულული ქმნებ დრო გამოშვებითი ფულის შეტანით 31 აგვისტომდე. ბილეთების ნუმრებს ტელეგრამებით შევატყობინებთ. ბილეთების მუზველებს შეუძლიანთ, თუ მათი სურვილიც იქნება, ჩაეწერონ თუნდაც მარტო სეკურიტებრის მოგებაში. ბილეთების დაზღვევა დირს 45 ქაშ. გარეთ მცხოვრებლებს 17 მანეთის გამოგზვის შემდეგ დაუყოვნებლებ გაეგზავნებათ მოწმობა ბალეთების სერიას №-ითა. თხოვნა შეუძლიანთ მოგვმართონ, აგენტს ბანკის ფირმისას „გენრის ბლოგა“ ბ-ნა შ. მაღაშეს ქალ. თბილისში, გოლოვინის პროსპექტი, პაპიროსის მაღაზია „ოჭრაში“ დილის 9 საათიდამ 1 საათამდე და საღამოს 5 საათ. 8 საათამდე.

ვასტაცია ფრანგულს ენას ქართულის საშეალებით. საკლასო რეპეტიციონებ-საც ავიდებ.

ვეტრე მირიანაშვილი ადრესი „ოქატრის“ რედაქციონში.